საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 459 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს (სამსახურის) დებულების დამტკიცების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის N340 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს (სამსახურის) თანდართული დებულება.

2. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 5 დეკემბრიდან.

მამუკა ბახტაძე

დამტკიცებულია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის

2018 წლის 5 დეკემბრის

№ 459 ბრძანებით

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს (სამსახურის) დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ადამიანის უფლებათა სამდივნო (სამსახური) (შემდგომში – ადამიანის უფლებათა სამდივნო) არის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული, რომელიც თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა კანონებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულებით, ამ დებულებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შინაგანაწესითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

2. ადამიანის უფლებათა სამდივნოს ფუნქციები, სტრუქტურა და უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის რეგლამენტით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულებითა და ამ დებულებით, რომელსაც დადგენილი წესით ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. დაკისრებულ ფუნქციათა განსახორციელებლად ადამიანის უფლებათა სამდივნო თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტსა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან, სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან.

მუხლი 2. ადამიანის უფლებათა სამდივნოს ფუნქციები და ამოცანები

1. ადამიანის უფლებათა სამდივნოს ამოცანებია:

ა) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის N551 დადგენილების საფუძველზე შექმნილი ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა და ტექნიკური მხარდაჭერა;

ბ) ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს მუდმივმოქმედი თემატური კომისიების ან/და დროებითი უწყებათაშორისი ფორმატების კოორდინაცია და ტექნიკური მხარდაჭერა;

გ) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის N550 დადგენილების საფუძველზე შექმნილი გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს ფუნქციების შესრულება;

დ) საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის N286 დადგენილების საფუძველზე შექმნილი გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს ფუნქციების შესრულება;

ე) ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი, შესაბამისი წინადადებების, რეკომენდაციების სრულყოფა და ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოსთვის ან/და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

ვ) ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და შემდგომი დახვეწა;

ზ) ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, შესრულების ხელშეწყობისა და შესრულების შეფასების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა.

2. ადამიანის უფლებათა სამდივნოს ფუნქციებია:

ა) ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტებთან და სამოქმედო გეგმის პროექტის და/ან გეგმაში შესატანი ცვლილებების მომზადება და უწყებათაშორისი საბჭოსთვის, მუდმივმოქმედი თემატური კომისიებისთვის ან/და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაციის დამუშავება, რომელსაც განსახილველად წარუდგენს უწყებათაშორის საბჭოს, მუდმივმოქმედ თემატურ კომისიებს ან/და საქართველოს მთავრობას;

გ) უწყებათაშორისი საბჭოსა და ადამიანის უფლებათა სამდივნოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლის, სათანადო რეკომენდაციების შემუშავების ან/და ანგარიშების მომზადების მიზნით დამოუკიდებელი ექსპერტების მოწვევა;

დ) პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის გამჭირვალობისა და ამ პროცესში სამოქალაქო ჩართულობის დახვეწის მიზნით სამდივნოს სახელმძღვანელო წესების შემუშავება;

ე) ადამიანის უფლებების დაცვის უწყებათაშორისი საბჭოსთვის, მუდმივმოქმედი თემატური კომისიებისთვის ან/და საქართველოს მთავრობისთვის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშის პროექტის წარდგენა;

ვ) ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული რეკომენდაციებისა და შეფასებების ანალიზი და პოლიტიკის დოკუმენტებში მათი ჯეროვანი ინკორპორირება;

ზ) მუდმივმოქმედი თემატური კომისიების ან/და დროებითი უწყებათაშორისი ფორმატების შექმნის საჭიროების იდენტიფიცირება და საქართველოს მთავრობისთვის შესაბამისი წინადადების წარდგენა;

თ) უწყებათაშორისი საბჭოსა და თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრების პერიოდულობის განსაზღვრა, შეხვედრის დღის წესრიგის მომზადება და შეხვედრის ოქმის მომზადება;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, საერთაშორისო ან/და დონორ ორგანიზაციებთან, ასევე უცხო ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;

კ) ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის სამდივნოს ელექტრონულ ვებგვედზე განთავსება.

მუხლი 3. ადამიანის უფლებათა სამდივნოს ხელმძღვანელობა

1. ადამიანის უფლებათა სამდივნოს ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისათვის დელეგირების შემთხვევისა.

2. ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსის არ ყოფნის პერიოდში, ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსის წარდგინებითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით, ადამიანის უფლებათა სამდივნოს ხელმძღვანელობს მისი ერთ-ერთი თანამშრომელი (ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

3. ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსი:

ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის დავალებებისა და ამ დებულების შესაბამისად, უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა სამდივნოს საქმიანობას, პასუხისმგებელია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;

ბ) ანაწილებს სამსახურებრივ დოკუმენტაციას ადამიანის უფლებათა სამდივნოს შესაბამის თანამშრომლებს შორის და უზრუნველყოფს მათი საქმიანობის კოორდინაციას;

გ) დადგენილი წესით განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა სამდივნოს თანამშრომელთა ფუნქციურ მოვალეობებსა და უფლებამოსილებებს;

დ) ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიმდინარე საქმიანობას;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა სამდივნოს თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ვ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასანიშნად წარუდგენს საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ ადამიანის უფლებათა სამდივნოს თანამშრომელთა კანდიდატურებს;

ზ) ამზადებს წინადადებებს ადამიანის უფლებათა სამდივნოს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) ხელმოწერით ადასტურებს ადამიანის უფლებათა სამდივნოდან გასულ დოკუმენტებსა და სხვა მასალებს;

ი) წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სამდივნოს სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობისას;

კ) შეიმუშავებს ადამიანის უფლებათა სამდივნოს დებულებისა და საშტატო ნუსხის პროექტს საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარსადგენად;

ლ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს, უზრუნველყოფს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის შესაბამისი მოადგილის სხვა დავალებების შესრულებას.

მუხლი 4. ადამიანის უფლებათა სამდივნოს თანამშრომლები

ადამიანის უფლებათა სამდივნოს თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისათვის დელეგირების შემთხვევისა.